



გარეჯის მაცნა

სამარჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №2(304) 2024 წ. 16-31 იანვარი შპსი 1 ლარი

„რაც დავიწყებით არ იბინდება“... პატივი მიაგოს გმირთა სსოვნას



სამარჯოს მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩი ესტუმრა. **ზაიბ ბულიეშვა** მუნიციპალიტეტის მერთან **აშთანდილ ბულიაშვილთან** ერთად სოფელ იორმუდანლოში, 9 აპრილისა და 20 იანვრის გმირთა მემორიალი თაიგულებით შეამკო და პატივი მიაგო დაღუპულთა სსოვნას.

9 აპრილისა და 20 იანვრის გმირთა მემორიალს სიმბოლური დატვირთვა აქვს და ორივე ქვეყნის მთლიანობისთვის და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, მშვიდობიანი სამართლებრივი საქციის

მონაწილეების ტრაგიკულ ისტორიას უკავშირდება. გმირებს, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლნი არიან.

1990 წლის 20 იანვარი, როგორც შავი იანვარი ასე შევიდა ბაქოს ისტორიაში. 130 მშვიდობიანი დემონსტრანტი შეეწირა მიტინგის დარბევას. ამ გმირთა საპატივსაცემოდ,



1991 წელს, ცნობილია კერამიკოსმა - ზაჰიდ ჰუსეინოვმა სოფელ იორმუდანლოში - ქართველ და აზერბაიჯანელ გმირთა ერთიანი მემორიალი შექმნა თავისუფლებისთვის მებრძოლთა სიმბოლოდ.

სტუმრებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, 1989 წლის 9 აპრილი და 1990 წლის 20 იანვარი კიდევ ერთხელ გაისვენეს, სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირებს ქედი მოუხარეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

შენდება ახალი საგარეო ბაზი

სამარჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **აშთანდილ ბულიაშვილმა**, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩ **ზაიბ ბულიეშვას**, მერის მოადგილესთან **გიორგი ლალიაშვილთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი ბილაშვილთან** ერთად, სოფელ იორმუდანლოში, კომპანია „სოკარის“ მიერ მშენებარე თანამედროვე სტანდარტების 150 ადსაზრდელზე გათვლილი ბაღის დასკვნითი სამუშაოები ადგილზე მოინახულა.



ახალი წელი მიულოცეს

სამარჯოს მუნიციპალიტეტის მერი **აშთანდილ ბულიაშვილი** საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი ბილაშვილთან** და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან **ლელა ზანოზიშვილთან** ერთად იორმუდანლოს თემს ესტუმრა და სკოლის მოსწავლეებს ახალი წელი მიულოცა.



საჩუქრები წარმატებულ სპორტსმენებს

სამარჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **აშთანდილ ბულიაშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი ბილაშვილთან**, სპორტული გაერთიანების ხელმძღვანელ - **მამუკა კურდღელაშვილთან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად წარმატებულ სპორტსმენებს სპორტული ფორმების ვაუნერები და ზურგჩანთები გადასცა.

დასასრული მე-2 გვერდზე



ბილოცავთ!

დაკისრებული მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის სამარჯოს მუნიციპალიტეტის **საინფორმაციო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი** ქნი **თინათინ აბაილაშვილი** დაჯილდოვდა სამარჯოს მუნიციპალიტეტის მერის მადლობის სიგელით და მიენიჭა საპატიო თანამშრომლის წოდება.



ქეთი ბრატიაშვილი, სამარჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ინფრასტრუქტურა-2024

მოსახლეობის საყურადღებო!

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა იწყება
სამართლიან მთავრობის განკარგულებით, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განსახორციელებლად, ქვეყნის მასშტაბით 40 600 000 ლარი განისაზღვრა.

2024 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის 668 000 ლარი გამოიყო.

სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრები, საერთო კრების ფორმატში, 5 თებერვლიდან დაიწყება და მუნიციპალიტეტის 24 სოფელში, ეტაპობრივად ჩატარდება.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივების გადაწყვეტილებით, შესაძლებელი იქნება, სხვადასხვა სოფელში შემდეგი პროექტები განხორციელდეს:

- სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);
- სარწყავი სისტემები;
- სანიადგრე არხები;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- გზები და გზისპირა მოსაცდელეები; აგრეთვე, ტროტუარები და გზის შემადგენელი სხვა ინფრასტრუქტურა;

- ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელეები;
- გარე განათება;
- სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;
- საორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;
- სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სუფილი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;
- წისკვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;
- სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა;
- მინი-პესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/ადგენა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და დამისამართების შესაბამისად, შესაბამისი ნიშნების, აგრეთვე ტურისტული ადგილების მიმართული ნიშნების განთავსება.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა, სოფელში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ხორციელდება, რომელიც მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებასა და სოფლად არსებული პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზნად.

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინფრასტრუქტურული ბარდამავალი პროექტების სამუშაოები განახლდა

დ. საბარეჯოში რუსთაველის ქუჩის ზედა მონაკვეთის, ტროტუარების, სანიადგრეებისა და მიმდებარე ნიხების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.



საბარეჯოს ახალი საწარმო შეემატა

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ანთანდილ ბულიაშვილმა, მოადგილეებთან და ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის წარმომადგენლებთან ერთად ქალაქ საგარეჯოში ორგანული სასუქის ახლად გახსნილი საწარმო მონახულა.



2023 წელს კომპანია „ბიოვიტამ“ შექმნა ორგანული სასუქის წარმოება. წარმოების შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის USAID-ს, CNFA-ს და სოფლის განვითარების სააგენტოს. იგი აწარმოებს გრანულირებულ ორგანულ სასუქს სხვადასხვა შემადგენლობით, ბაზრის და კლიენტის მოთხოვნილების შესაბამისად. იგი გამოიყენება როგორც დასავლეთ საქართველოს მთელი ნიადაგებისათვის, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ნეიტრალური და ტუტე რეაქციის მქონე ნიადაგებისათვის. სასუქი გრანულირებულია, რაც აადვილებს მის შეტანას სასოფლო ტექნიკის გამოყენებით.



როგორც კომპანიის დამფუძნებელმა, კახა ხუციშვილმა აღნიშნა, „კომპანია ადგილობრივად აწარმოებს, როგორც მყარ სასუქს, რომელიც გამოიყენება ნიადაგში შეტანისათვის, ასევე თხევად სასუქს, რომელიც გამოიყენება მცენარის ფოთლოვანი კვებისათვის. ჰუმუსურ-ორგანული სასუქი „Agro Vitae“ არის უნივერსალური პრეპარატი მოქმედების ფართო სპექტრით და წარმოებულია კომპანიის მიერ ჩვენი დაპატენტებული ტექნოლოგიის გამოყენებით. ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ჰუმატებისგან – ტორფის

ან ყავისფერი ნახშირისგან. წარმოების უნიკალური ტექნოლოგია საშუალებას გაძლევთ ამოიღოთ ბუნებრივი ჰუმატებიდან და შეინარჩუნოთ ბიოაქტიური ნივთიერებების მთელი კომპლექსი, ბუნების მიერ შექმნილი ბუნების ზიანის მიყენების გარეშე.

ჯილდო წარმატებული სწავლისათვის

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ანთანდილ ბულიაშვილმა 2021-2022 სასწავლო წლის წარჩინებული - კურსდამთავრებული მედალოსნები დააჯილდოვა.



56 კურსდამთავრებულს მუნიციპალიტეტის მერიიდან პროგრამით გათვალისწინებული თანხა უკვე გადაეცა.

ანთანდილ ბულიაშვილმა თითოეულ მედალოსანს მადლობა გადაუხადა მონღო-



მებისთვის, სიბუჯითისთვის და წარმატებისთვის. შეხვედრას მაჟორიტარი დეპუტატი დაპირდა სოფელში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი ბილაშვილი, მერის მოადგილე ბიორბი ლალიაშვილი, რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლევა ზანოზიშვილი და მაჟორიტარის ბიუროს უფროსი ბიორბი თათიშვილი ესწრებოდნენ.

საჩუქრები წარმატებულ სკორტსმენებს



თუ გულში სიყვარულია ყოველივე ქართულის

ნახევარ საუკუნეში მიტი ბავშვების სამსახურში



არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით, ყოველდღიური რეჟიმითა და ერთხელ „დაკანონებულ“ დღის წესრიგით ცხოვრობენ... არიან ადამიანები, რომელთა გულს არასოდეს ეკარება შურის ბოროტების, ნიშნის მოგების უმწუხარება... არიან ადამიანები, რომლებიც ამ დალოცვილ ქართულ მიწაზე და იმ პატარა გულით, რომელიც ათეული წლებით ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობას განაგებს, დიდ ზეადამიანურ სიყვარულს დაატარებენ... დიას, დიას, იმ სიყვარულს, რომელიც დღესდღეობით დეფიციტშია, მაგრამ მაინც არის, ანათებს, გვათბობს და მომავალ თაობებს გადასცემს – როგორც უნდა იყოს ქართველი, სადაც არ უნდა წავიდეს, რა სიტუაციაშიც არ უნდა მოხვდეს...

როცა პატარა ჩაილურში **თემურ მამრიკაშვილი** იკითხავთ, ხუბუბად რამ ასე დაგისხამათებენ – კაცი, რომლის გულში უხარმახარი სიყვარული, კაცთმოყვარეობა, სიკეთე დაბუდებული და არა მარტო პატარა ჩაილურში, ასე იცნობენ დიდი ჩაილურის სკოლადასამაჯრებულთა უმრავლესობა, დღეს შრომით ფერხულში რომ არიან ჩაბმული. იანვრის თვე ბატონი თემურის თვეა. წელს კიდევ ერთი წელი მიემატა (20 იანვარს) მის შვიდ ათეულ წელზე მეტის სათვალავს...

დღეს პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის დირექტორი თემურ ყავრიშვილი ჩვენი გაზეთის მკითხველის სტუმარია და განვიხილავთ ცხოვრებაზე, იმ ადამიანებზე გვესაუბრება, რომლებმაც მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

– ბატონო თემურ, გილოცავთ დაბადების დღეს. თქვენს მიერ განვლილი ცხოვრების უმეტესი წლები სკოლის ცხოვრებას უკავშირდება. იქნებ გაისხენოთ, როგორ, საიდან დაიწყო თქვენი სასკოლო ცხოვრება?

– მადლობა. დავიბადე ულამაზეს, კოპწია სოფელ პატარა ჩაილურში. მართალია, პატარა პკეია, მაგრამ უდიდესი სიყვარული ტრიალებს აქ, სადაც მშრომელი და გამორჯვ ადამიანები ოდითგანვე ცხოვრობენ. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ მართლაც ძალიან ღამაში სოფელი ადგილმდებარეობითა და აქაურების მიერ გამშვენებულად. აქაურები მევენახეობასა და მებოსტნეობას მივდევთ და რა გასაკვირია, როცა სოფლის რეაქტივის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ბაკურციხის ტექნიკურ სასწავლებელში აგრონომიული განხრით გავაგრძელე და სწავლის დამთავრების შემდეგ საბჭოთა მეურნეობაში, სოფელშივე დავიწეე მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირად მუშაობა. მხოლოდ შიდა სოფლის მეურნეობითა და სკოლაში მოღვაწეობით არ ვიყავი დაკავებული, პარალელურად, აქტიურად ვიყავი ჩაბმული სპორტში, დაცვის პოლიციაზე ვითამაშობდი ფეხბურთის გუნდ „გარეჯში“ (1969წ), ვკვდილობდი. მალე სამხედრო სამსახურმა მომიწია და სამი წლის განმავლობაში ვლადივოსტოკში ერთ-ერთ საჯარო დანაყოფში ვმსახურობდი. იმდენად კარგი შედეგები მქონდა თავისუფალ ჭიდაობაში მთელ დანაყოფში, რომ მატერიალური პასუხისმგებელი პირი ვიყავი. ის კი არ იცოდნენ, რა ფასდაუდებელია ჩვენი, ქართული ჭიდაობა, რომლის ფანდებიც გენერტიკურად მოგვეყვება წინაპრებისგან.

1975-1980 წლებში ვსწავლობდი თბილისის ა. პუშკინის (დღევანდელი ილიას სახელობის) უმაღლეს სასწავლებელში – გეოგრაფიის ფაკულტეტზე. იქნებ გაგიკვირდეთ, რატომ სავანი გეოგრაფია და სხვა არა, თანაც სკოლა კარგა ხნის დამთავრებული მქონდა. სკოლაში გეოგრაფიას სკოლის დირექტორი ვინო ფხალაძე გვასწავლიდა. ეს იყო ზედმეტად დისციპლინირებული, მცოდნე, განათლებული პიროვნება, რომელიც ისე საინტერესოდ გადმოგვცემდა გაკვეთილს, ისეთ ამბებს გვასწავლიდა, ძნელი იყო თავი აგერიდებინა და კლასარეშე ლიტერატურაც არ მოგვებნა გაკვეთილის ირგვლივ. ქართულს კი შალვა ზორაქაშვილი გვასწავლიდა, როგორ შეიძლება არ გესწავლა ქართველი მწერლები, პოეტები... ჩემი პირველი მასწავლებელი ვინო დავრიშვილი რუსულ ენას და ლიტერატურას გვასწავლიდა. ჩვენი დედაწამოსილი ნინო მასწავლებელი დღეს 91 წლისაა, ჩვენი სკოლის ყველა წარმატება უხარია, მისი შვილი ექიმი – მაია ღვინაშვილი ჩვენი სოფლის იმედა.

მეონი სიტყვა გამიგრძელდა. სკოლების დირექტორად დღემდე 39 წელია ვმუშაობ. 1985 წელს სოფელ თოხლიაურის სკოლის დირექტორად დავიწეე მუშაობა, 10 წელი სოფელ დიდი ჩაილურის საშუალო სკოლის დირექტორი ვიყავი, შემდეგ კი – 1994 წლიდან დღემდე პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის დირექტორი ვარ.

– გასული წლის პოლარს მებრძოლ სასიხარულო იყო ჩვენთვისაც, როცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2024 წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია

მონიშნული...

– დიას, ეს ჩვენი სკოლის მიმართ გამოჩენილი უდიდესი ყურადღება და გულისხმიერებაა. ვერც კი წარმოიდგენთ, რა დიდი სიხარულია თითოეულ ჩვენგანში, მოსწავლეებში, მათ მშობლებში. ჩვენი სკოლის შენობა 1970 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და მიენიჭა საშუალო სკოლის სტატუსი... მართალია, დღეს სკოლის შენობას კარ-ფანჯარა გამოცვლილი აქვს, მაგრამ დღევანდელ საგანმანათლებლო გამოწვევებს რომ უპასუხო, აუცილებელია მყარი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს კი, რა თქმა უნდა, ერთგვარ სტიმულს აძლევს თითოეულ ახალგაზრდა ოჯახს, ისევე დარჩეს სოფელში, მიჰყვას სოფლის მეურნეობას, შეიძლება თანამედროვედ აღჭურვილ სკოლაში შეიყვანოს. გულისტკივილი მინდა გითხრათ, რომ ამ სასწავლო წელს ჩვენ არ გვაქვს ორი პირველი კლასი (გვეყავს 13 პირველკლასელი), მომავალ სასწავლო წლებში უკვე გვეყოლება ყველა საფინანსო კლასი, უფრო გაზრდილი კონტინენტით, რადგან ჩვენი სოფელი კარგად გრძობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, პირადად მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნ **აშთაბერიძის ბულიცაშვილის** ყურადღებას და იმ სასიკეთო საქმეებს ხელავს, რაც ბოლო ხანს ჩვენს სოფელში გაკეთდა და კეთდება. ასევე, გულისხმიერი და ერთობ მონდომებული, სოფელზე შეყვარებული მერის წარმომადგენელი გვეყავს სოფლის თავკაცად, ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლე, თბილისის კომაროვის სახელობის სასწავლებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის წარჩინებით, წითელი დეპლომით ფურსდამთავრებული **არჩილ ყავრიშვილი**. ეს ის ახალგაზრდაა, რომელსაც სოფლის მაჯისცემამაზე უდევს ხელი, იცის თითოეული ოჯახის გასაკვირი.

გასულ წელს ჩვენს სოფელში განხორციელდა ძალიან ძვირფასი საუკუნის პროექტი – სოფელში 24 საათიანი სასმელი წყლით მომარაგება, ეს ვისაც წარმოუდგენია, მიხვდება, რა დიდი ფუფუნებაა, რომელიც აუცილებელია და დღის წესრიგის პირველი პრობლემა გადაჭრილი, გასულ წელს „სოფლის მარდაქურის“ პროგრამით დია საჭიდაო დარბაზი მოეწყო, ესეც ნიშნავს ახალგაზრდების თავისუფალი დროის შინაარსობრივად გატარებას. ჩემი თაობის ახალგაზრდებში სირცხვილად ითვლებოდა, სპორტის რომელიმე სახეობით თუ არ იყო დაკავებული. ეს იყო წესიერების, ჯანმრთელობის და თამამად გეტყვით, ვაჟაკების ნიშანი...

– სკოლაში რამდენი მოსწავლე გყავთ?

– ჩვენს სკოლაში 171 მოსწავლე 12 საფინანსო კლასში სწავლობს. გვეყავს 20 პედაგოგი, აქედან 3 წამყვანი პედაგოგია, 17 კი უფროსი მასწავლებლის სტატუსითაა.

– სოფლის იმ შეილებზე რას იტყვით, რომლებიც სოფლის სიღამაზე წარმოადგენენ, რომელთა სახელეუბითაც შეგიძლიათ იამაყოთ პატარა ჩაილურელებმა?

– უფალმა გვიმარაგოს ასეთები. გვეყავს მართლაც სანაქებო ადამიანები, ოჯახები, რომლებიც გვიღამაზებენ ამ პატარა სოფელს. პირველ რიგში მინდა დავასახელო **ღვინაშვილების ოჯახი**, მისი დიდებული დიასახლისი, პოეტი, მომღერალი, ოთხი კარგი შვილის აღმზრდელი, ჩვენი სოფლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერი – **მარინა შანიძე**; ოჯახის თავკაცი – **ბნო ღვინაშვილი**, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების“ დირექტორი არაერთი კარგი საქმის ინიციატორია, მისი შვილები – გურამი და ბექა საქართველოს სიამაყეები არიან, პატივს სცემენ ქართულ ფოლკლორულ სიმღერებს, ზრდიან მომავალ თაობებს ქართული სიმღერების სიყვარულით, გოგონები – ნამდვილი ქართული ოჯახის დიასახლისები, კარგი სპეციალისტები არიან.

ბიორბი ორსტიაშვილი – სიმღერების კონკურს „რანინას“ გამარჯვებული და ვეროვიხის დესპანი საქართველოდან.

თემურ ორსტიაშვილი – საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა ძიულდში.

მიხეილ სვირიციანი – ერთხანს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე იყო.

შა ნანუაშვილი – ყოფილი სახალხო დამცველი, ჩვენი სკოლადასამაჯრებული იყო.

მინდა სიამაყით გითხრათ, რომ ჭიდაობასა და ბიზნესში წარმატებული კაკაბელი **შაბანო მუხანაშვილი** ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია.

– ძალიან კარგი. ჩვენი საუბრის დასასრულს თქვენს ოჯახზედაც გვითხარით და ისიც, ადამიანმა ცხოვრების გზაზე რა უნდა ისაგზლოს, რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყოს, არ დაკარგოს ქართველობა?

– რა გითხრათ, ჩემი მეუღლე ნინო ყავრიშვილი სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის მასწავლებელი იყო, ახლა პენსიაზეა. შვილები – სამივე ქალიშვილი მაკა, ლელა და ეკა დაოჯახებულია.

რა შეიძლება ადამიანმა ისაგზლოს?! – სიყვარული, ადამიანის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულება, სიკეთე, პატივისცემა ყოველივე ქართულის მიმართ. მე მეამაყება, რომ ჩემი სოფლის ახალგაზრდობას შენარჩუნებული აქვს ყველა ის ფასეულობა და ღირებულება, რაც ჩვენი წინაპრებისთვის კულტი იყო, რა ნიშნითაც ქართველს ყველა სხვა ეროვნებისაგან გამოარჩევდა. თუმცა დღეს ვამბობთ, ყველა ერის შვილისადმი შემწეობა უნდა ვიყოთ. მე მხოლოდ ერთს მოვითხოვ, ჩემს ქვეყანაში შემოსულმა სხვა ეროვნების ადამიანმა პატივი სცეს ჩვენს ადამიანებს, ჩვენ კი მოვუფრთხილდეთ სიყვარულით, ურთიერთპატივისცემა დავიწყოთ გულზე!

ზაფილო ქალი – დედა, ვისმა სიყვარულმაც არ იცის ზღუდე, არ იცის დაბრკოლება, ვისი ძუძუთიც გამოზრდილია მთელი მსოფლიო. ყველაფერი კარგი და მშვენიერი ადამიანში მზის სხივებისა და დედის რძისგანაა. აი, რა გვახარებს ჩვენ და გვაძლევს სიცოცხლის სიყვარულს. გენიოსის სიტყვა და კალამი სჭირდება იმ გრძობის გამოხატვას, გამოთქმას, რაც გუფლებს, როცა ქალზე, კარგ ქართველ ქალზე, დედაზე და აღმზრდელზე გინდა ისაუბრო. კარგი შვილების კარგი ქართველი დედა არასოდეს ყოფილა ქართული ყოფისთვის უცხო. „ღამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთად“ – ლოცვასავით უხმოდ ხშირად გავგიმეორებია ვაჟ-შვილებსა და გენიოს მიგნებულ ჭეშმარიტებას. საკუთარი შვილის ღამაზად აღზრდაზე გაცილებით რთულია „ათახი ბავშვის მშობლობა, მე-ზე, პიროვნულზე ამადლება და თაობათა აღზრდისათვის ჩემად, უპრეტენზიოდ წვა, სწორედ „ჩემთა მუშაკთა უჩინარმა დეაწლამა გადაარჩინა ქართული ფენომენი, ქართული ცა და მიწა, სიტყვა და საქმე, „დაისი“ და „მრავალუამიერი“.



58 წელია ქ-ნი **ციცილო (თემრი) მარსაშვილი** გაუხუნარი ღიმილით და სიყვარულით პირსაგვს გულით ემსახურება პატარებს. 1987 წელს ატესტაციის შედეგად განათლების სამინისტროს მიერ მიენიჭა „მასწავლებელ-მეთოდისტი“ წოდება, არის რესპუბლიკური კონკურსის „კითხულობს პედაგოგი“ ექვესხის ლაურეატი, დაჯილდოებულია რეგიონულ პედაგოგთა კითხვაში წარმოდგენილი საუკეთესო თემისათვის „ბავშვი და ლექსი“, საქართველოს რესპუბლიკის ქალთა საბჭოს მიერ „საპატიო სიკვლებით“. აქტიური საზოგადოებრივი საქველმოქმედო საქმიანობისათვის, ქალთა საბჭოსთან თანამშრომლობისათვის, მადლობის ფურცელი საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების საგარეჯოს ფილიალში დაგვიკმდი ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ასევე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ციცილო ქარსაულიძემ თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პედაგოგ-აღმზრდელის პირველი ნაბიჯები ეწ. სადგურის დასახლებაში ახლადგახსნილ საბავშვო ბაღში დაიწყო მუშაობა, სადაც იმ დროისათვის – 1966 წელს – დასახლებაში ქართველ ბავშვებთან ერთად რუსი ეროვნების ბავშვებიც იყვნენ. ყველა თავისებურ მიდგომას თხოვდა. საოცარი ენერჯია, სიყვარული და მზრუნველობა ჰქონდა პატარა, კაფანდარა გოგონას, რომლის შემხედვარე ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ის აღმზრდელ-პედაგოგი შეიძლება ყოფილიყო. სწორედ ამ პატარა გოგონამ სულ რამდენიმე დღეში სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა არა მარტო ბავშვებში, მოსახლეობაშიც. აქ 5 წელი იმუშავა, შემდეგ კი – 1972 წლიდან ახლად გახსნილ საბავშვო ბაღში გადაიყვანა, ჯერ აღმზრდელ-პედაგოგად, შემდეგ საბავშვო ბაღის გამგედ. იგი ორ ათეულ წელზე მეტია საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ში ფსიქოლოგ-პედაგოგად მუშაობს – მოადერსე, ყურადღებიანი, ქართული სიტყვის, ქართული ლექსის თავყვანისმცემელი. წლები გადის, ჩვენი ციცილო მასწავლებელი კვლავც შემართებული, ტკბილი სიტყვებით აფრთხილებს პატარებს, აძლევს მაგალითს ზრდილობისა და სიყვარულისათვის. წლები, ღამაში წლები შემოადნა ხელში, რომლებსაც სიყვარულით, სიამაყით და მაინც მოკრძალებული ღიმილით იხსენებს.

ციცილო მასწავლებელი, ამგდარო, დეაწლამოსილო, გილოცავთ დაბადებიდან 78 წლის იუბილეს. ვისურვებთ უფლის წყალობით ღიძხანს სიცოცხლეს და შემართებას საბავშვო ბაღის აღსაზრდელზე გულწრფელი ზრუნვისათვის.



„ახალგაზრდობა – იმედი ხვალის!“ ახალგაზრდული კომიტეტი – აქტიური და ინიციატივიანი



ნიკაციას და კოორდინირებულად შევიმუშავეთ და დაგეგმვით სხვადასხვა აქტივობებს.

მე იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ, ჩვენი მჭიდრო ურთიერთობა იქნება საუკეთესო პრაქტიკის დაწერების საფუძველი - განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.

– „ახალგაზრდული კომიტეტი“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებით დაკომპლექტება და მათი ძირითადი ფუნქციები იქნება:

– ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება, მონიტორინგი, შეფასება;

– მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა;

– ახალგაზრდებთან შეხვედრების ორგანიზება, თემიდან წამოსული იდეების დამუშავება, შეჯერება და მათ საფუძველზე მერიის მიერ ახალ-

ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩასართავად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **აშთანდილ გულიკაშვილმა** მოადგილეებთან - **ემზარი კუჭუაშვილთან**, **ბიორბი ლალიაშვილთან** და კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელ **არჩილ ჯაბაღარიანთან** ერთად ახალგაზრდული კომიტეტის წევრობის კანდიდატებთან შეხვედრა გამართა.

გასული წლის აგვისტოში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ ახალგაზრდული კომიტეტის წევრთა შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა.

კომიტეტის მიზანია მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და პროცესების შეფასება.

„ახალგაზრდული კომიტეტი“, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.



აპლიკანტებმა მერთან შეხვედრისას არაერთი ინიციატივა გააუქმეს, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ბატონმა ავთანდილ გულიკაშვილმა თითოეული ადმინისტრაციული ერთეულიდან, ახალგაზრდების საჭიროებების გამოვლენის მიზნით, სოციოლოგიური კვ-



ლევის ჩატარების ორგანიზება ითხოვა, რათა სამომავლო პრიორიტეტები და სამუშაო სტრატეგიის შემუშავების პროცესში თავად ჩაერთოს და დასახოს წლის გეგმა.

„ამ მიმართულებით გეგმიური შეხვედრები ევლავ გაგრძელდება და აქტიური მუშაობა დაიწყება ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების კუთხით. თავად გავეწვევ მონიტორინგს ახალგაზრდების ჩართულობას სხვადასხვა მიმართულებით: გარემოს დაცვა, კულტურული აქტივობები, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესს. გარდა ამისა, არსებობს რიგი საკითხებისა, სადაც ახალგაზრდების ხელდა და მათი კომპეტენცია აუცილებელია, რათა მაქსიმალურად სწორად განესაზღვროთ მომავალი თაობისთვის საჭირო სტრატეგია. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ გაგაგრძელებთ კომუ-

გაზრდებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის დაგეგმვა.

– ახალგაზრდების ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ;

– ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება სოციალური, ეკოლოგიის და ადამიანის უფლებების შესახებ;

– მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, კომიტე-



ტის საქმიანობის ხელშეწყობისთვის გამოიყოფა სივრცე, ალტურული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით;

დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტუ-



რად განხორციელებისა და შესრულებისთვის კომიტეტის წევრები პერიოდულად გადამზადდებიან მათთვის საჭირო თემატურ საკითხებზე.

ქეთი ბრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ბილოცაში! კვლავაც წარმატებულნი და პატარა თეატრალების მაბაღითის მიმცემენი



10 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით, ბაკურიანში შემოქმედებითი ასოციაცია „რევერანსი“-ს მიერ ორგანიზებული თოჯინების თეატრალური ფესტივალი „ფანტელი“ გაიმართა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ოზურგეთის, ჭიათურის, ბაღდათის, წყალტუბოს, ფოთის, მათ შორის ჩვენი მუნიციპალიტეტიდან – საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრი.

ფესტივალის მიზანი საგარეჯოელი თოჯინური ხელოვნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია იყო. ფესტივალზე ჩვენი თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „სუთკუნჭულა“, რომელმაც მაყურებლის და ჟიურის დიდი მოწონება და სიმპათია დაიმსახურა.

აკადემიური დონის საფუძველზე საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრმა ნომინაციაში „საუკეთესო სპექტაკლი“ გრან-პრი მოიპოვა.

ნომინაციაში- საუკეთესო მსახიობი კაცი- **ირაკლი ლიპარტიანი**, ხოლო მებრუნე ხარისხიანი კაცის როლის საუკეთესო მსახიობი კაცი- **მიხეილ ხოპერაშვილი** დასახელდნენ.

გარდა ამისა, აქტიური მონაწილეობისთვის თეატრის დასის **ვევლა წერხ** დიპლომები გადაეცათ.

ბაკურიანის ფესტივალამდე შეგახსენებთ, რომ გასული წლის გაზაფხულზე ქალაქ სიღნაღში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „ქიხიყი-2023“, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 12 თეატრალური დასი – მათ შორის საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული თოჯინების საბავშვო თეატრი „სუთკუნჭულა“ (თეატრის ხელმძღვანელი და რეჟისორი **მარინა შიოშვილი**), სადაც გაერთიანებული არიან საგარეჯოს საჯარო სკოლების მოსწავლეები.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: თენგიზ ნურბაძე, ბარბარე ფურცელაძე, მარიამ ქართლელი-შვილი, მირიან წიგნაძე და ნინო ზაბაიშვილი. პატარა მსახიობებმა წარმოადგინეს ნ. გერგეტის „ბატის ჭუკი“, რომელმაც მაყურებლის და ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა. ჟიურის გადაწყვეტილებით ჩვენმა პატარებმა დაიმსახურეს უმაღლესი შეფასება – ნომინაციაში საუკეთესო თოჯინური სპექტაკლი.

ვეულოცავთ საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრს, ასევე მათ „შემცველებს“ ამ ღირსეულ გამარჯვებას და მრავალ წარმატებებს ვუსურვებთ!



„ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!”

„მირელა“ წარმატებებს
სამომავლოდაც მოიმაკის
ამ ანსამბლის შემოქმედი გახლავთ
მარინა ურულაშვილი

პროფესიით მუსიკოსი... ფლობს არაჩვეულებრივ შემოქმედებით უნარებს, წერს საზოგადო პრობლემებსა და ტვიფილებზე, არის არაერთი სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორი. მისი მთავარი წარმატება კი ხელოვნების სკოლა - „მი რე ლა“ -ს დაფუძნებაა, რომელსაც ის დღემდე ხელმძღვანელობს. მარინა დაიბადა 1971 წლის 5 ივნისს, წარმატებით დამთავრა საგარეჯოს მე-3 საჯარო სკოლა და ასევე დამთავრებული აქვს საგარეჯოს სამუსიკო სკოლა. ის აღრეული ასაკიდანვე იღვწოდა წარმატებების მწვერვლების დასაპყრობად დაახლოებით ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ლიმილისა“ და საგარეჯოს ფოლკლორული ანსამბლ „ჩინარის“ წამყვანი სოლისტი. ...როგორც თვითონ ამბობს: - წარმატება ეს არის დაუღალავი შრომა, რეჟიმი და უდიდესი პასუხისმგებლობა მისივე საყვარელი საქმისადმი და ეს წარმატება მისი ოჯახის, დედ-მამის დამსახურებაა, შემდგომ კი მისი მეუღლისა და შვილების. ისინი მუდმივად ზრუნავენ მისი საყვარელი საქმის კეთებას შეუწყონ ხელი... მისთვის ოჯახი ესაა ერთი სუნთქვა, ერთი ხედვა, ერთი საერთო ინტერესი და ეს ინტერესი წარმატებისკენ სწრაფვია... ქალბატონი მარინა ასევე დიდი სიხარულით გვიყვება იმ წარმატებულ მოსწავლეების შესახებ, რომლებიც არაერთი რეგიონული, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ფესტივალის, კონკურსებისა და პროექტების გამარჯვებულები გახდნენ. მათ შორის, ჩვენთვის ყველაზე ცნობილია 2019 წლის „რანინას“ გამარჯვებული **ბიორბი რუსთიაშვილი**, რომელიც **საბავშვო „ვერონიკა-იაზე“** საქართველოს სახელით წარსდგა, ასევე გასული წლების „რანინას“ მონაწილე **მარიამ საბინაშვილი**, მუსიკალური პროექტის „ახალი თაობა“ გამარჯვებული **ნანია საბინაშვილი** და X ფაქტორის მონაწილე **ბიორბი რუსთიაშვილი**. ასევე, „რანინას“ 2023 წლის წარმატებული მონაწილე **ანარია ზაფრინაშვილი** და **ანასტასია მასურაშვილი**....



სულიერებას სძენს, მათ სინაზეს, სიკეთეს, სილამაზეს მატებთ და თუ დააკვირდებით, ასე აღზრდილ ბავშვებს, დაინახავთ მათ და სხვებს შორის განსხვავებას, მე ამას მათ თვალში ვხედავ... და მინდა ვთხოვო მშობლებს - იყავით უფრო კეთილდღეობით ბავშვის აღზრდა-განვითარების საქმეში, ასწავლეთ მადლიერება ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც კი მათ ცხოვრებაში შემოსულა ნებისმიერ უნებლიედ...

უკვე რამდენიმე წელია ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ... საქმეს, რომლის განვითარებაში დიდი შრომა ჩავდებ. რამდენიმე წელია ვხედავ, როგორ მოდის წარმატება... როგორ ნელ-ნელა იზრდება ჩემს ირგვლის საყვარელი და საინტერესო ადამიანების რიცხვი... უამრავი ბავშვი ტრიალებს ჩემს გარშემო... ვხედავ რამდენად მნიშვნელოვანია ჩემს მიერ გაცემული ენერჯია თითოეული მოსწავლისთვის... ვგრძობ ჩემს ვადიდებულებას მათ წინაშე, რადგან როდესაც შენს საყვარელ პროფესიას დაეუფლები, იწყებ ფიქრს, როგორ გაუზიარო შენი ცოდნა, შენი გამოცდილება სხვებს... შენს შინაგან სამყაროს უხსნი მათ და ყველაფერი, რაც კი გააჩნია, შენი განათლება, შენი გემოვნება, უკვე მათიცაა. ბავშვი პირველივე გაკეთებულად შენი სულის, შენი კულტურის ნაწილი ხდება, ის რაც შენშია უკვე, მისიცაა... გადასცემს ბებრა ბებრა, ფრაზა ფრაზა ასწავლი, როგორ მიიყვანოს ესა თუ ის მუსიკალური მელოდია სრულყოფილებამდე... იგივეს აკეთებენ, რასაც შენ გააკეთებდი... ისინიც, მათ დაუნებურად შენი შინაგანი სამყაროს ნაწილი ხდებიან... ჩვენ მთლიანად მათ ვეკუთვით... ნაკლებად გვერება დრო პირად წარმატებასა და განვითარებაზე ვიფიქროთ... ამიტომ წარმატება, რომელიც მოდის, თანაზიარია ორივეს... მათ მიერ მიღწეული შედეგები ჩვენი გამარჯვების ტოლფასია... მასწავლებელს სხვა სიკეთე აქვს - უამრავ მოზარდში ჩვენს კულტურას, ჩვენს გემოვნებას, ჩვენს ფერებს ვხედავთ და ამით ბედნიერი ვარ ...

წარმატებები...

ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა შრომამ გამოიმართლა და დღიდან დაარსებისა, თითქმის ყოველწლიურად ჩვენი ანსამბლი გამარჯვებული გამოდის საქართველოსა თუ უცხოეთში გამართულ მუსიკალურ ღონისძიებებში. 2005 წლიდან 2017 წლამდე საქართველოში გამართულ ფესტივალებში დაივიკეთე პირველი ადგილები. 2017 წელს ბულგარეთში, საერთაშორისო კონკურსში „მზე, ბედნიერება, სილამაზე“ - I ადგილი, 2018 წელს ბაქოში ქართულ-აზერბაიჯანული კულტურის დღეებში - დაურეგატის წოდება, 2018 წელს ჩეხეთის საერთაშორისო კონკურსში დაივიკეთე I ადგილი, 2020 წელს „შემოდგომა ავსტრიაში“ მოვიპოვეთ გრან-პრი და ა.შ.

მირელას წარმატებები... აღსაზრდელები

ესენი არიან:
სოსიკო კანჯარაშვილი, ბარბარე კუპრაძე, ქეთა ტვიფინაშვილი, ნანკა მღებრიშვილი, ნანია საბინაშვილი, ანარია ზაფრინაშვილი, მარიამ მასურაშვილი, ანასტასია მასურაშვილი, ბარბარე პასლიკაშვილი, ზატა რუსთიაშვილი, ელენე მოსიაშვილი, რომელთაც არაერთხელ ასახელებს ჩვენი მუნიციპალიტეტი და საქართველო მის ფარგლებს გარეთ არაერთ დიდ მნიშვნელოვან საერთაშორისო მუსიკალურ ღონისძიებებში და იმედია, მომავალშიც იტყვიან თავიანთ დიდხელს სიტყვას იმ საქმეში, რასაც მუსიკა და სიმღერა ჰქვია.

ჩაიწერა ბიძი ლაპახიშვილი

გარეჯელი ტალანტები
ამ შრომისაღებთან

საბარეჯოს სამუსიკო სკოლისთან არსებული ბავშვთა სიმღერის სტუდია „კამერტონი“ 2018 წელს შეიქმნა. მას შემდეგ აკურსე უკვე ხუთი წელი გავიდა და ამ წინის მანძილზე მისმა აღსაზრდელებმა შეძლეს მტკიცედ დაეკავებინათ ადგილი ჩვენი ქვეყნის მოწინავე ბავშვთა შემოქმედებით კოლექტივებს შორის. სადღეისოდ მათ შემოქმედებას საკმაოდ კარგად ვიცნობთ არა მარტო საგარეჯოელი და საქართველოს, არამედ უცხოეთის მრავალი ქვეყნის სიმღერის მოყვარულები, რომელთაც ასევე მრავლად ჩუქნიან ახალ-ახალ სიურპრიზებსა და სასიამოვნო წუთებს სტუდიის პატარა ტალანტები. აქედან გამომდინარე, მართლაცაა, ქებასა და დიდ მადლობას იმსახურებს გარეჯელი ამ პატარა „საგანძობის“ ინიციატორი და შემქმნელი **თმა ხატიაშვილი**, რომელიც პატარა გარეჯელების გულში უშუალოდ თესავს ქართული და ზოგადად, სიმღერის სიყვარულს და მათ ყოველწლიურად უხვ, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევინებს. სწორედ ამან გადაგვაწვევინა ჩვენი გახუთის ფურცელზე სასაუბროდ მოგვეწვია ქალბატონი თმა, რათა მკითხველისა და ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის უფრო ახლოს გაგვეცნო მათი საქმიანობა, ხოლო თუ როგორ შეეძლებოთ ამ ყველაფრის გაშუქებას, ამას მასთან ქვემოთ მოყვნილ დიალოგიდან შევიტყობთ.



— ქნო თმა, როგორც „კამერტონის“ ფუძემდებელმა და „ნათლიამ“ რატომ შეურჩიეთ სტუდიას ეს სახელი?

— სხვათა შორის ბევრს ვფიქრობდი სახელთან დაკავშირებით. ნებისმიერი სკოლის, ანსამბლის თუ სტუდიისათვის სახელს დიდი მნიშვნელობა აქვს. სახელი კავშირში უნდა იყოს გარკვეულწილად საქმიანობასთან. და სწორედ ასეთი მიდგომათ, (გააზრებით) შევარჩიე - „კამერტონი“. იგი უშუალოდ კავშირშია მუსიკალურ სამყაროსთან. მოგეხსენებათ, „კამერტონი“ არის ხელსაწყო, რომელიც სრული სიხუსტით გადმოცემს მუსიკალურ ბგერებს და მის სისწორეზე აკრძალულია მთელი რიგი საკრავების აღმართობა. ეს ხელსაწყო გამოიყენება ასევე გუნდისთვისაც, ვინაიდან იგი სიხუსტის და სისწორის სიმბოლოა. სწორედ სტუდიის მოსწავლეები, რომელიც მის სახელს ატარებენ, სრული სიხუსტით და სისწორით უნდა ფლობდნენ თითოეულ მუსიკალურ ბგერას, სიმღერის თითოეულ ფრაზას. მათ სწორად (და არა მხოლოდ კარგად) უნდა შეასრულონ და მსმენელამდე მიიტანონ თითოეულ სიმღერაში ჩადებული კომპოზიტორის ჩანაფიქრი. და კიდევ, ჩვენ სწორად უნდა ვიმდგომოთ. სწორად განვეითარდეთ. აი, ეს არის ჩვენი სტუდიის მიზანი და სახელიც ამასე მიგვანიშნებს. ვფიქრობ, სახელთან დაკავშირებით არ შეგმცდარვარ - სტუდია ამართლებს სახელს.

— ამ სტუდიის შესაქმნელად აღბათ ბევრს ფიქრობდით და მუშაობდით, არ გავიჭირდით ამ დიდი საქმის წამოწყებას, აქ საქმე სომ პატარებს, ჩვენს ქვეყნის ზედიზედ მომავალს ეხება?

— თავიდან ყველა საქმის დაწყება რთულია, მაგრამ შემდეგ მუშაობაში ყველაფერი ლაგდება და სწორ გზას პოულობს. პირველად რამდენიმე მოსწავლეთი დაიწყო, რომლებიდანაც ზოგმა უკვე დამთავრა კურსი და დღეს ჩვენს გვერდით აღარ იღვწიან, მაგრამ ზოგი დღემდე განაგრძობს ჩვენს ფესტივალს სიარულს. პირველად იყვნენ პირველადი ბავშვები: **ეკა ჭკონია, ნია დიდიშვილი, ნინო აფრიაშვილი, ნანია კობახიანი** (რომელიც ჩვენს გვერდით წარმატებით მოღვაწეობს). **ლალი ქაიხოსროშვილი, მარიამ მარტოშვილი, მარიამ ჯინჯიბაძე, ლუკა კეკელიშვილი**. მალევე, სულ რაღაც ერთ თვეში, ჩემი ყველაზე პატარა მოსწავლეები შემომემტნენ - **მარიტა კაპანაძე და თამარ კაკაშვილი** (3 წლის ასაკიდან) - ისინი პირველი დღიდანვე უამრავ წარმატებას აღწევენ. კერძოდ, **მარიტა კაპანაძე** - არაერთი კონკურსის საპრიზო ადგილის მფლობელია და ასევე სატელევიზიო გადაცემების ხშირი სტუმარიც.

— როგორც იტყვიან, თქვენმა პირველმა ნაბიჯებმა უკვე „იბარტყა“ და სადღეისოდ სტუდიაში რამდენიმე ჯგუფი გაყარა...

— დღეისათვის სტუდია გაფართოვდა და გვყავს სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით დაყოფილი რამდენიმე ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სფეროში მოსწავლეთა რაოდენობა არასდროს არ არის სტაბილური, სტუდია მაინც იზრდება და ვფიქრობ, ეს დიდი შრომის, ჩემი და ჩემი მოსწავლეების წარმატებების შედეგია. პატარების მშობლები ხედავენ ამ მიღწევებს. ამის გარეშე ძნელი და რთულია, მშობლებმა განდოს საკუთარი შვილი და ეს ნდობა წლების მანძილზე შეინარჩუნო. ერთია შექმნა სტუდია, მაგრამ ყველაზე რთულია ამის შენარჩუნება. მოსწავლეების და მათი მშობლების ნდობის გარეშე, რაც მე არ მაკლია და მადლობელი ვარ ჩემი არაჩვეულებრივი მშობლების, რადგან ხედავენ იმას, რომ სტუდია ჩემთვის „მეორე შვილია“. მასში სულსა და გულს ვდებ, რაც ჩანს ჩემი მოსწავლეების განვითარებასა და მათ მიღწევებში.

— თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა რა იყო?

— 2018 წლიდანვე სტუდია ყოველ წელს მონაწილეობდა იღებს მიერ რიგ კონკურსებში და არაერთ სატელევიზიო გადაცემაში. ესენია: ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“, სადასრულ ყოველ წელს ნომინაციით და დაურეგატის წოდებით გზავნიან. ასევე, ყოველ წელს იმართება გავლა კონცერტი გამარჯვებულ მოსწავლეებში და ყოველთვის, ყველა ჩემი მოსწავლე მასში მონაწილეობს (რა თქმა უნდა, ვინც იმ წელს მიმყავს ამ კონკურსზე). შ. დავითაშვილის სახელობის კონკურსი; ჩვენ ყოველ წელს ვიღებთ მასში მონაწილეობას და საპრიზო ადგილები მოგვაქვს. 2019 II ადგილი 2022 - I - II - III ადგილი, 2020 I-II ადგილი 2023 - I-II ადგილი.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქართველოში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების პირველი კონკურს-ფესტივალი - სადაც „კამერტონის“ „კვინტეტი“ წარმატებით წარსდგა და კოურის აღფრთოვანებაც შეეძლო.

ასევე, უკვე მეორე წელია ემონაწილეობთ კონკურს-ფესტივალში - „სხვა საქართველო სად არის“, აქ სტუდიამ პირველ 2022 - წელს I ადგილი აიღო (ნინო ორკოშენელმა). იგივე კონკურსში 2023 წელს ჩვენმა მოსწავლეებმა - მარიტა კაპანაძემ და ცოტნე განჩილაძემ მეორე საპრიზო ადგილები, ხოლო სტუდიის „კვინტეტი“ შემადგენლობით: მ.მარტოშვილი, მ.მარიტაშვილი, ნ.ნანიაშვილი, ე.ეხებრელაშვილი, ნ.კობახიანი მთლიანად მოიპოვეს გრანპრი.

აღსანიშნავია რომ, ეს ორი კონკურსი - „სხვა საქართველო სად არის“ და „დავითაშვილის კონკურსი - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სრული მხარდაჭერით ხორციელდება. კერძოდ, ჩვენს მოსწავლეებს უდიდეს ფინანსური მხარდაჭერა აქვთ მათი მხრიდან (ტრანსპორტი სრულად უფინანსდება), რაზეც მინდა თქვენი გახუთიდან უდიდესი მადლიერება გამოვხატო ბატონ **არჩილ ჯაბაძის** მიმართ, და უპირველესად კი **მუნიციპალიტეტის მერს - ათანდილ გულიაშვილს დიდი მადლობა**, რომ წინანბრის მომპოვებელ მოსწავლეებს პირადად შეხვდა და მათ ფულადი ჯილდოც გადასცა. 2021 წელს სტუდიის მოსწავლე თმა ორკოშენელმა მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო პროექტ - „რანინაში“, სადაც წარმატებით გაიარა 4 ტური.

ასევე ჩვენ ვიღებთ ყოველ წელს მიწვევას - ბათუმის კონსერვატორიის დიდ სცენაზე, სადაც ტარდება ფესტივალი. ჩვენი სტუდია წელსაც წარმატებით წარსდგა მათ წინაშე. 2022 წელს შექმნილი კვინტეტი: (მ. მარიტაშვილი, ნ. ორკოშენელი, ნ. მარტოშვილი, ნ. ნანიაშვილი, ნ. კობახიანი) და სოლისტი მარიტა კაპანაძე. რაც შეეხება საზღვარგარეთს, აქ მხოლოდ ონლაინ კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა, იმედს გამოვთქვამთ წელს თუ არა, მომავალ წელს აუცილებლად - „კამერტონი“ საზღვარგარეთაც იტყვის თავის სიტყვას!

ჩემი მოსწავლეები - „ოსტევის“ - ხშირი სტუმრები არიან. ასევე „მელიორამაში“ - იღებენ მონაწილეობას. დანარჩენს სიურპრიზად დავტოვებ.

სტუდიის გამორჩეული ტალანტები პირველი თაობიდანვე მოდიან. „კამერტონის“ პირველი თაობის გამორჩეული სახეები არიან: ნია დიდიშვილი, ეკა ჭკონია, ზატა ბერაძე, ნინო ყანდინაშვილი, ლიხი ქაიხოსროშვილი, ანუკი კერაძე, ნინო მხარდაჭერა აქვთ მათი მხრიდან (ტრანსპორტი სრულად უფინანსდება).

შემდგომი თაობა, რომელიც ახლაც ჩვენთან არიან, კვინტეტი: ნ.კობახიანი მ.მარიტაშვილი, ნ. მარტოშვილი, ნ.ნანიაშვილი, ე.ეხებრელაშვილი, ლუკა - ცოტნე განჩილაძე და მარიტა კაპანაძე. სტუდიას კიდევ ჰყავს უამრავი გამორჩეული სახე, რომლებიც ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამენ და უახლოეს მომავალში ვიხივთ უფრო დიდ სცენაზე. გვყავს უამრავი წარმატებული მოსწავლე, მათ შორის: ელენე და მთელი სოსიკაშვილი, ანანო ღარბაიშვილი, მარიამ სულიკაშვილი, ანა ონაშვილი და სხვები.

„კამერტონის“ ხუთწლიან მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმატებით დახუნდული 2023 წელი იყო. არაერთ სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობის გარდა, უმნიშვნელოვანესია შ. დავითაშვილის კონკურსზე I-II ადგილების აღება, რომელიც სტუდიის „კვინტეტი“ მოიპოვა.

ესაუბრა ბიძი ლაპახიშვილი

მართლმადიდებლობა

27 იანვარი - წმინდა ქალწულის, ნინოს ხსენების დღე

წმინდა ნინოს დღეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია წელიწადში ორჯერ აღნიშნავს: 1-ელ ივნისს - წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის და 27 იანვარს - მისი გარდაცვალების დღეს. წმინდა ნინოს ქართველთა განმანათლებლად და საქართველოს ციურ მფარველად მიიჩნევენ.

ნინოს მამა იმპერატორ მაქსიმიანეს მხედართმთავარი ყოფილა. შემდეგ მას სამსახურისთვის თავი დაუწესებია და იერუსალიმში წასულა, სადაც შეურთავს იერუსალიმის პატრიარქის იუბენადის ბაზილიკაში. ბოლოს ბერად აღკვეცილა, დედა კი გლახაკთა სამზრუნველოს მსახური გამხდარა. იერუსალიმიდან ნინო იმპერატორ კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენესა და სეფე ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. შემდეგ ნინო საქართველოში წამოსულა. მცხეთაში, თავის სადგომში, სალოცავად აღუმართავს ვახის ტოტისგან ("ნახსლევისგან") გაკეთებული ჯვარი. ქადაგებებითა და სამკურნალო ხელოვნებით ნინოს მოსახლეობის ყურადღება და სიყვარული დაუმსახურებია. მას მეტსახელიად "ტყვესაც" ეძახდნენ, როგორც უცხოელ, უთვისტომო ადამიანს. ნინოს წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გასჩენია. მცხეთაში მისვლიდან მეექვსე წელს ნინომ გააქრისტიანა ქართლის დედოფალი ნანა, ხოლო შემდეგ მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. ამის შემდეგ, ნინოს რჩევით, მეფემ მოციქულები გაგზავნა იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდლოების ჩამოსაყვანად, რათა ხალხი მოენათლათ და ეკურთხებინათ ახლად აგებული ეკლესია. ნინოს მისიონერული მოღვაწეობა განუგრძობდა ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც. ერისთავის, სამღვდლოებისა და ჯარის თანხლებით ნინო მთიანეთშიც ასულა და წილკნელები, ჭართალები, ფხოველები და ერწო-თიანეთელებიც გაუქრისტიანებია. უკან დაბრუნებისას ავად გამხდარა და სოფელ ბოდინში (ახლანდელი ბოდბე) გარდაიცვლილა, სადაც დაუკრძალავთ კოლქვაც.

ბოდბის სამონასტრო კომპლექსში, მის საფლავზე, როგორც საფლავის ძეგლი, დგას წმინდა გიორგი ძლევაშვილის და წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარი - IX საუკუნის სამნაწიანი ბაზილიკა. წმინდა ნინოს თმებით შეკრული ვახის ჯვარი კი თბილისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ინახება.

ყოველწლიურად, ზაფხულში, ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის კვალდაკვალ გზას მიჰყვება. მარშრუტი სრულად შეესაბამება იმ გზას, რომელიც წმინდანმა საქართველოსკენ გამოიარა.

მხოლოდ საქართველოს დედაქალაქში წმინდა ნინოს სახელობის ხუთი ტაძარია, სადაც ნინობის დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნება. სახეიმო წირვა ქვეყნის ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში ტარდება.

უდიდესი რუსი წმინდანი

სერაფიმე საროველი ავროსილეს რუსეთს:

“არასოდეს იომოთ საქართველოსთან ამით თქვენ შეებრძოლებით დედას ღვთისას... რაც დაღუპავს რუსეთს...”

რაც დაღუპავს რუსეთს“

“არასოდეს იომოთ საქართველოსთან, ამით თქვენ შეებრძოლებით დედას ღვთისას... რაც დაღუპავს რუსეთს, “მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი წმინდანი ღირსი სერაფიმე საროველი, ერობაში პროხორე მოწინის, დაიბადა 1754 წლის 19 ივლისს, ქ. კურსკში.

პროხორეს მამა ადრე გარდაეცვალა და მცირეწლოვანი ვაჟი დედის ალათიას მზრუნველობის ქვეშ დარჩა. დედამ ადრევე შეინიშნა შვილის მისწრაფებანი, ამჩნევდა მას გულითად ღოცვას, წუთისთვის განუანდობის სურვილსა და მიწიერი საზრუნავისადმი გულგრილობას.

პროხორემ სიყმაწვილეშივე გადაწყვიტა თავი უფლის მსახურებისათვის მიეძღვნა და მონასტერში წასულიყო დედასაც წინააღმდეგობა არ გაუწევია. პროხორემ მალე დატოვა თავისი მშობლიური კერა და საროვოს უდაბნოში გაემგზავრა.

წმინდა საროვის უდაბნოში 8 წლიანი მორჩილების შემდეგ 1786 წლის 13 (26) აგვისტოს, მარხვის დასასრულს, იღუმენმა პახიმმა პროხორე ბერად აღკვეცა.

მას სახელიად სერაფიმე ეწოდა იგი ებრაულად “ცეცხლგანს”, ძვ. ქართულად კი “ცეცხლზე დამწველი ნიშნავს”.

1793 წლის 15 სექტემბერს ღვთის სიტყვით ანთებული მამა სერაფიმე უდაბნოში განმარტოების სურვილით აენთო, და განდევნილმა გადაწყვიტა.

მალე სავანის წინამძღვარი, მამა პახუმი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან წმინდანს მეუდაბნოებაზე მისცა კურთხევა.

და მონასტრიდან ხუთი ვერსის მოშორებით, მდინარე საროვოს ნაპირზე, უდაბურ ფიჭვნარში ამდღებულ ბორცვზე ერთოთახიანი ხის სენაკში დასახლდამთავრდა კვირის განმავლობაში აქ ღოცულობდა და მხოლოდ შაბათობით, მწუხრის წინ მიდიოდა სავანეში.

ბერი სერაფიმე ძალიან ცოტას ჭამდა, საკვებს დღეში მხოლოდ ერთხელ იღებდა. ოთხშაბათს და პარასკევს არაფერს იხმევდა. დიდმარხვის პირველ კვირას შაბათამდე არაფერს ჭამდა, შაბათს კი წმინდა საიდუმლოს ეზიარებოდა.

წმინდა სერაფიმესთან რჩევის და ღოც-

ვა-კურთხევისთვის მოდიოდნენ როგორც მონასტრის ძმები, ისე ერისკაცებიც.

იგი ყოველ დამით ტყეში ერთ უზარმაზარ ღოღზე ადიოდა და ხელაპყრობით ღოცულობდა. დღისით კი კელიაში აგრძელებდა ღოცვას, სადაც ტყვიდან მოტანილ ქვაზე დგოდა, საიდანაც იშვიათად ჩამოდიოდა. ასე ღოცულობდა წმინდანი 1000 დღე-ღამის განმავლობაში.

იგი უფლის შეწვევით უამრავ სასწაულს აღასწულებდა, ღოცვებით კურნავდა ადამიანებს. წმინდა სერაფიმე განსაკუთრებულად ზრუნავდა დივევოს დედათა სავანეზე. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ღოცვის დროს ჰაერში ამდღებულ იქნებოდა.

წმინდა სერაფიმე მრევლს ყოველთვის ეუბნებოდა გულში მუდამ იმეორე იესოს ღოცვა: “უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემეწყალე მე ცოდვილი”. შთაავრებით იღოცე და შენი გონი სულს შეუერთე.

საოცარი იყო ღირსი სერაფიმეს ცხოვრება და საკურნავი იყო მისი აღსასრული.

მამა სერაფიმე განჭვრიტა თავისი აღსასრულის მოახლოება ხშირად ავროსილეს მნახველებს: “ჩვენ აწი ვეღარ შევხვდებით”. დედა პარასკევს ეუბნებოდა: “ამიერიდან მარტო იცხოვრეთ, გტოვებ!”

1833 წლის 14 იანვრის დიღას იგი უკანასკნელად მივიდა ეკლესიაში. იგი უჩვეულოდ იქცოვდა, ყველა ხატთან სანთელი დაანთო და ემთხვია. ასეთი რამ ადრე არ გაუკეთებია.

15 იანვარს, დიღის ეკვსი საათისთვის წმინდანის მორჩილმა პავლემ მისი კელიიდან გამომავალი დამწვერის სუნი იგრძნო, წმინდანი ყოველთვის ანთებდა სანთლებს, მაგრამ ამბობდა, “სანამ ცოცხალი ვარ ჩემს კელიაში ცეცხლი არ განჩნდება, ჩემი სიკვდილი ხანძრით გაცხადდება”. როდესაც კელიაში შევიდნენ წმინდანი გარდაცვლილი დახვდათ.

მამა სერაფიმე სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც, დღემდე უამრავ სასწაულს აღასრულებს.

მისი შემწევობით უამრავი სნეული განკურნებულა და იკურნება.

18 იანვარი ნათლისღების წინა დღესასწაული

დიდი აიაზმა

წმიდა წმინდა საიდუმლოს, როგორც სოლომონისეულ შვიდ სვეტს, ეძღვრება უფლის ეკლესია. აქ ყოველი ქვა მაცხოვრის დადებულია, მისი მოწვევით შემოქმედებული. რამეთუ „სიბრძნემ იშენა თავისა თვისისა სახლი“. ეს ღვთის სახლია, ამიტომ მის ეკლესიაში ერთი ქვაც კი არ უნდა მოიწყოს. ჩვენი ღირსი წინაპრები დიდი კრძალვით უფროხილდებოდნენ ეკლესიის წმიდა საიდუმლოებებს, მის ტრადიციებს. საიდუმლო კი იმიტომ ჰქვია, რომ ამ დროს ღოცვანი თუმცა განცხადებულად აღესრულება ღვთისმსახურთაგან, მაგრამ საღმრთო მადლი კაცთაგან ფარულად მოქმედებს.

შეიძინა მთავარი საიდუმლოს გარდა, არსებობს მცირე საიდუმლოებანიც, თუმცა კი ღვთის მადლით არანაკლებ ძალმოსილნი. ამგვარი გახლავთ დიდი აიაზმის წესით წყლის კურთხევა, რომელიც დედა ეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა. ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ღოცვის მეოხებით განწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს. მის დამი ქრისტიანებს განსაკუთრებული სასოება აქვთ. ყოველ დილით, როცა უფლის სისხლსა და ხორცს არ ეზიარებთან, დიდი აიაზმის წყალს მოხვამენ, რათა სულიერად არ მოუძღვრდნენ.

ამ დღეს ნაკურთხი წყლისადმი დიდი რწმენა ჰქონდათ ძველ ქართველებსაც. ამბობენ, ნათლისღებას ადებულნი უბრალო წყალიც კი არ იხრწნებოთ. მიანდათ, რომ ამ დღეს ყოველი მდინარის, ნაკადულისა თუ ხევის წყალს ისეთივე მადლი ეძლეოდა, იორდანეს რომ მიეცა მაცხოვრის ნათლისღებისას. ზოგიერთ სოფელში ახლაც არის შემორჩენილი ერთი ძველი ჩვეულება: ნათლისღებას, უთენია, უმძრახად (ხმაგაუცემლად) სამჯერ აავსებენ სარწყულს ხეხსა თუ მდინარეში და იქვე დააქცევენ. ზოგს კი ეს წყალი საფლავზე მიჰქვს და ზედ მოასხურებს - ამგვარად თითქოს თავიანთ მიცვალებულსაც აზიარებენ ღვთის განცხადების სიხარულს.

ნეტავი იმასს, ვინც ბავშვით მიენდობა უფალს! ხოლო თუ ურწმუნოების ჭია შეუწნდა უკვდავებისთვის განკუთვნილ სულს, კაცი ან გამოცხადებით, ან განსაცდელით უთუოდ განისწავლება ღვთისგან.

აი, ორი ამბავი რწმენის ნაკლებობაზე:

1909 წელს პეტერბურგში სანიტარული კომისიის წარდგენით გაიცა განკარგულება, რომ დიდი აიაზმა აღუღებულ წყალზე აღსრულებულიყო. ეკლესიაში აღუღებული წყალით სავსე უზარმაზარი კასრები მოხიდეს და მათზე წაიკითხეს წყალკურთხევის ღოცვა. და ეს რომელიმე პროვინციაში კი არა, იმპერიის ცენტრში, არა წარმართი, არამედ ქრისტიანი მეფის მმართველობისას ხდებოდა!

ბრძანებას მხოლოდ ეპისკოპოსი პირიღე ვალოველი არ დაემორჩილა. აი, რას წერს იმდროინდელი „პეტერბურგის გაზეთი“: „ლაგრის დარაჯმა წყალკურთხევისათვის წინასწარ მოამზადა უზარმაზარი მუხის გობი და რამდენიმე კასრი აუღუღარი წყალი, პოლიციამ კი ქალაქის თავის ბრძანებით ადგილობრივი ტრაქტორის მექანიკოსს დაავალა, აღექსნადრე ნეველის ტაძარში წყლის კურთხევისათვის 50 ვედრო წყალი აედუღებინა. წყალი ერთ საათში მზად იყო. როცა პოლიციამ შეიტყო, რომ მუხის გობში აუღუღარი წყალი ეხსა, მისი ადუღებული შეცვლა მოითხოვა. ლაგრის იკონომოსი დაიბნა და მიტროპოლიტ ანტონთან გაეშურა, მაგრამ არ შეუშვეს, - უთხრეს, ძალზე დაკავებულიაო. იკონომოსი უკან დაბრუნდა და საკუთარი ხელმწიფებით შეაცვლევინა წყალი.

ადუღებული წყალი ყველას ეყო, თუმცა ეს კია - გაცივება ვერ მოასწრო და ცხელ-ცხელსვე არიგებდნენ. ამ ამბავმა მრევლი ძალზე ადაშფოთა. ადუღებული წყალი რომ შემოიტანეს და კასრებში ჩაასხეს, ბევრმა ლიტურგიაც კი მიატოვა.

ეს მოხდა ღვთის განცხადების წინა დღეს, დღესასწაულზე კი (რუსული ტრადიციით, წყალი ნათლისღებასაც იკურთხება) ლაგრის სამღვდლოებამ უარი განაცხადა, ნევის ნაპირთან აღუღებული წყალით სავსე კასრი დაეღობა და ის ეკურთხებინათ. ყინული ამოჭრეს და ნეტარსხეულებმა მიტროპოლიტმა კირილე ვლოველმა ლაგრის არქიმანდრიტებთან ერთად, წესისამებრ, მდინარე აკურთხა, თუმცა პოლიციამ ყველა ღონე იხმარა, რომ წყლის კურთხევის არც ერთი მლოცველი არ დასწრებოდა“.

მიტროპოლიტი ანტონი, რომლის დროსაც ეს მკრეხელობა მოხდა, მალე გარდაიცვალა. საშინელი იყო მისი სიკვდილი - ათი დღე უგონოდ იწვა და ყოველდღე ესალმებოდა სიცოცხლეს. როცა გარდაიცვალა, წესის აგებისას მისი ცხედარი ლაგრის ირგვლივ შემოატარეს. უეცრად ამოვარდნილმა ქარბორბალამ მიცვალებულს გვირგვინი თავიდან მოაგლიჯა და ხალხში გადაისროლა, მერე კი უკვალად გააქრო.

ტეშმარტივად - ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვება.

ეს ამბავი კი ჩვენი დროის საქართველოში მოხდა. მცხეთაში, ულამაზეს ადგილას, დგას ჭულევის მონასტერი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩანჩქერი გადმოქექვს. აი, ამ წყალს აკურთხებდნენ ხოლმე ნათლისღებისას. იმ წელსაც ასე იყო. უამრავი მლოცველი მი-აწყდა მონასტერს. ძალზე ციოდა და თოვლიც იდო, მაგრამ ხალხი ამან ვერ დააბრკოლა. ჩანჩქერთან ყინული ამოამტვრიეს და მამა სტეფანემ (ახლა უკვე ეპისკოპოსმა) დიდი აიაზმის წესით აღასრულა კურთხევა. ღოცვის დამთავრების შემდეგ კი ყველა შევიდა წყალში და განიბანა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ორი თვის ბავშვი მოეყვანა. პატარა ავად იყო. ექიმებს მისი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ... მშობლებმა ისიც ჩააყურყუმა-ლავეს წყალში. მხოლოდ ნათიამ არ ისურვა განბანა, არ გავცივდეთ - შეეშინდა.

განბანის შემდეგ უნდა ეტრაპეზათ. ნათიამ აღარ დაიცადა და შინისაკენ გაეშურა. მოხდა სასწაული - მომაკვდავმა ბავშვმა მოიხედა და მალე სრულად გამოჯანმრთელდა. ნათიას კი იმ დამეს სიცხე მისცა და კარგა ხანს იავადმყოფა. მას მცირე მიეცა, მცირე მოეთხოვა და, მღვდელმთავრისგან გასხვაგვრით, მცირედ განისწავლა ღვთისგან.



სკორტი ჩემპიონის ტიტულს არ თმობს



წარმატებით დასრულდა ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატის პირველი დღე 2007-2008 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის. ჩვენმა სახელოვანმა ძიუდოსტმა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ძიუდოს სექციის ძიუდოსტმა **შოთაძე ბაგრატმა** ამჯერადც გაახარა გულშემბრუნებელი და კვლავაც საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა! ვულოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ საერთაშორისო ასპარეზზე!

პატარძელის “ვეფხვებმა” 2023-24 წლის სეზონის I წრე შეაჯამა

პატარძელული „ვეფხვების“ დაჯილდოებას ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ამთაფილ ბულიაშვილი**, Georgian Rugby საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **თორნიკე ბიგვაშვილი**, ასევე „ვეფხვების“ მეგობარი და სპონსორი კომპანიის წარმომადგენლები: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუს რექტორი, ბატონი **ბია კავთელიძე-შიცი**, Svanidze Olive Oil /სვანიძის ზეთისხილის ზეთის დირექტორი **ნიკოლოზ მარკოზაშვილი**, ნავთობმომწოდებელი კომპანია KBOC-ის აღმასრულებელი დირექტორი **კლი-შორა სტენლი აიხეი**, რომელთაც „ვეფხვების“ განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მადლობის სერტიფიკატები გადაეცემა.



ძიუდო

საქართველოს ჩემპიონატზე

ძალად თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში 2007-2009 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის, სადაც ჩვენმა მანაველმა სპორტსმენმა **ნინო საზარაშვილმა** (44კგ) საპრიზო მეორე ადგილი დაიკავა!

ვულოცავთ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ!



„ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?“ დიდ ჭადრაკზე მოცნობები

საონარი, ხალისიანი, გაცისკროვნებული ენერჯია შემოაქვთ დერეფნებში ამ პატარა გოგო-ბიჭებს... ისეთი შემართებით, სიხარულით აფორიაქებულები ამოივლიან ან ჩაირბენენ კიბეებს, გული სიამით გვესება – სადაც მიიქჩარიან, სადაც მიდიან, აშკარად უხარიათ, სიამოვნებას იღებენ იმ გარემოში რამდენიმე საათის გატარებისას... დიას, იხინი ჩვენი ქალაქის, ჩვენი მუნიციპალიტეტის, სრულიად საქართველოს და სამყაროს მომავალი თაობაა – ჭადრაკით, ამ უძველესი და ბრძენთა ბრძენი თამაშით დაინტერესებულნი – აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ჭადრაკის წრის (პედაგოგები: ელენე ფარეშიშვილი და ნანი უნაფქოშვილი) მოსწავლეები არიან, რომლებმაც გასული წლის დეკემბერში ქ. საგარეჯოში ჩატარებულ კახეთის ჩემპიონატში 7 და 9 წლიან გოგონებსა და ჭაბუკებს, რომელშიც მონაწილეობდნენ ასევე, თელავის, გურჯაანის, დღოფლისწყაროს, ლაგოდეხის ნორჩი მოჭადრაკეები, ჩვენმა საგარეჯოელებმა კარგი შედეგები აჩვენეს და 4-დან 3 თასი საგარეჯოში დატოვეს. მაშ ასე,

7 წლამდე ჩემპიონი: ანასტასია ხასია

საბარაჯოს პირველი საჯარო სკოლის მეორეკლასელი, სკოლაში სკოლის დირექციას და ანასტასიას მასწავლებელს – ნანა ფაფიაშვილს ეამაყება და უხარიათ ანასტასიას წარმატებები ჭადრაკში, მაგრამ, მხოლოდ ჭადრაკით როდია დაკავებული ეს თვალმხარა გოგონა, ცეკვავს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ალავერდში“ (ქორეოგრაფი გიორგი ასრათაშვილი) დადის საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებულ ხატვის წრეზე (პედაგოგი – მხატვარი თამარ იორაშვილი) და ამავე კულტურის სახელთან არსებული ბავშვთა თეატრის წრეზე (ხელმძღვანელი მსახიობი ნათელა დიდმელაშვილი). გიკვირთ?! სულაც არ არის გასაკვირი, დიას, ანასტასია ასწრებს ყველაფერს, დროც რჩება, რომ დაიკოსთან შინაარსიანად გაატაროს თავისუფალი დრო, მაგრამ, აი, ქართული ცეკვაც ხომ უნდა იცოდეს, საქართველოს ღამაში ბუნების – პეიზაჟების ნატურმორტების, ესკიზების, პორტრეტების ტილოებზე გადატანაც უნდა შეძლოს, მაგრამ საბოლოოდ, მაინც მოჭადრაკედ აღიარებაც უნდა. აი, თანაც სულ ცოტა ხანში. თქვენ არც კი იცით, როგორი სიხარულით, ინტერესით მოიქჩარის თითოეულ მეცადინეობაზე, რაში აინტერესებს გარეთ რა ამინდია, ცხელია თუ ცივა, ქარია თუ წვიმა?! დეიკოც მხარში უდგას, მამიკო, ბებიები, პაპები ხარობენ ჭადრაკსა თუ სწავლასა, ცეკვასა თუ ხატვაში გადადგმული თითოეული წარმატებული ნაბიჯით. ვერც უღალატებს მათ სიხარულს.



7 წლამდე ჩემპიონი ზაზა თეფიაშვილი

ზაზას მასწავლებელი ლია სონიშვილი ყოველთვის გამარჯვებებს და წარმატებებს ელოდება და არა მარტო ლია მასწავლებელი, სკოლის მენეჯერი ნატალია კურდელაშვილი ხომ ამაცობს თავისი სკოლის ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლით, მაგრამ არა მარტო ჭადრაკში. ზაზა საკმაოდ წარმატებული ტანმოვარჯიშეა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“. ტანვარჯიშის სექციის (ხელმძღვანელი ანა იაკობაშვილი) და საკმაოდ ნიჭიერი მხატვარი (საგარეჯოს სამხატვრო სკოლის პედაგოგი, მხატვარი, ხატმწერი, პოეტი – თეა ბუხარიაშვილი) კახელი კაცია, იცის რასაც ნიშნავს ქართველისთვის ვენახი და ვაზი, ღვინო და ღვინის ჭურჭელი. ამიტომ რაღაცნაირი ინტერესით სწორედ რომ ღვინის დოქებს, თიხის დოქებს ხატავს.



იქნებ არც იცით, ზაზას დედა – ნანი უნაფქოშვილი ჭადრაკში საქართველოს ექვსეზის ჩემპიონია, საქართველოს მრავალგზის პრიზორი, ერთხელ ევროპის სასკოლო ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის პრიზორი და ჩემპიონი. ეროვნული ოსტატია, თუმცა ზაზას მამიკოსთან – დათოსთან ურჩევნია თამაში – კაცურად, შეუპოვრად და ყოველგვარი კომპრომისების გარეშე.

9 წლამდე ჭაბუკები III ადგილი დემეტრე ბეჟიტაშვილი

– **სოფელ** პატარძელის საჯარო სკოლის მესამეკლასელია. იცის, როგორ გაახაროს მასწავლებელი ნელი მეზურიშვილი, რომელიც დემეტრეს ყოველ ნაბიჯს დიდი რუდუნებით აღნუსხავს. დემეტრეს ერთი წუთი არ აქვს თავისუფალი, დადის კალათბურთზე, უცხო ენაზე, კრივზე, შაბათსაც არ აცდენს, ხელიდან არ უშვებს დროს და თბილისში, კომაროვის სახელობის სკოლის მოსწავლეა. თუმცა ჭადრაკი ძალიან უყვარს, იცის, ეს ხომ სტრატეგიული დანიშნულების თამაშია თავისებური აზრიანი ტაქტიკითა და სხარტი გონებით, გულისხმიერებით გაჯერებული, თანაც რამდენი დრო სჭირდება სათამაშოდ, ბრძოლის ველზე ბრძოლის მოსაგებად, მაგრამ სულაც არ ენანება თუნდაც პატარძელიდან კვირაში სამჯერ გამოვლილ-გავლილი გზა. იცის, აქ ერთობ საინტერესო თამაშობები ელის მეგობრებთან, თანამებრძოლებთან, მოწინააღმდეგეებთან ერთად.



დემეტრე ორწლიანხევის იყო, სისხლში გამჯდარი ჰქონდა დიდი გოგლას თანასოფელობა, ამ ასაკიდან უყვარს გოგლა, ამ ასაკში შეისწავლა მისი ლექსი „ჟორდანებიდან გნოლი აფრინდა“ და ცდილობს, არ შეარცხვინოს გოგლას და თავისი მშობლიური სოფელი, ლექსებსაც ბევრს სწავლობს, კაცმა არ იცის როდის გამოადგება – ჭადრაკში, ფრენბურთში, კრივში თუ სკოლასა და კომაროვის სასწავლებელში მიღწეული წარმატების მისაღებად წარდგომისას.

წარმატებების ათვლა ნორჩმა მოჭადრაკეებმა უკვე დაიწყეს, როცა კახეთში არ თმობენ პრესტიჟულ ადგილებს, არც საქართველოში დაუთმობენ და ჩვენც წარმატებები, გამარჯვებები ვუსურვოთ მათ, პედაგოგებს კი ამაგისა და შრომის დაფასება.

2023 წლის 10 საუკეთესო გარეჯელი სპორტსმენი სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში

შაპო ბულისაშვილი – ზა-



ბუბუაშვილი საქართველოს ჩემპიონი სამბოში; ახალგაზრდებში ევროპის III პრიზიორი სამბოში;

სანდრო სონიშვილი –



საქართველოს III პრიზიორი ახალგაზრდებში ჭიდაობა სამბოში;

ნუბზარ ჭიბაძე – ევროპის



ჩემპიონი მკლავჭიდაობაში (დიდებში);

გიორგი ორბელიანი – ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდაობაში (დიდებში);



ოთარ საბინაშვილი –



ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდაობაში (ახალგაზრდებში); მსოფლიოს III პრიზიორი (ახალგაზრდებში);

ბაჩო საბინაშვილი –



მსოფლიოს III პრიზიორი მკლავჭიდაობაში (დიდებში); ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი;

ბაჩო დიდგელაშვილი



– ზაბუაშვილი ევროპის ორგზის ჩემპიონი მკლავჭიდაობაში; ორგზის მსოფლიოს II პრიზიორი;

გიორგი ღვინაშვილი –



მსოფლიოს ორგზის ევროპის პრიზიორი მკლავჭიდაობაში (ჭაბუკები);

გიორგი დიდგელაშვილი – მსოფლიოს III პრიზიორი მკლავჭიდაობაში ჭაბუკებში



ვალერი კერატიშვილი –



ევროპის III პრიზიორი ჭაბუკებში მკლავჭიდაობაში;

მოსაგონარი 2023 წლის სისხლიანი 20 იანვრის გმირი ოთარ ღვინაშვილი



ჩემო ვაჟკაცო, უკვე ერთი წელია უშენოდ გვიწევს ცხოვრება. შენაირი ადამიანებისაგან დედამიწა ღარიბდება და ზეცა მდიდრდება. დიდება და დიდი მადლობა შენს უკვდავ გმირ სულს. სტერილურად გაზრდილი, ზეცაში შევარდენივით რომ აიჭერი და სახელოვანი ოჯახი დამიტოვე. მამის გაკვალურზე კაცურად გაიარე და მამადაც ივარგე. აკაკი წერეთელს დავესხებო და ჩემს ერს ვუსურვებ, რომ "ქართველი ქართველ გმირად გამოზრდიდეს შეილიშვილსა".

უშენოდ ერთი წელი გასულა, ოთარ.

დედა ლია მარინაშვილი

ჩვენი სახელობის უდიდესი ტიპილი-ოთარ

ვაიმე, შეილო, შენს გამო, გულში სამსკვამლი გავგვრია, რა ვუთხრათ ასეთ სიცოცხლეს, ამ დარჩენაში რა ყრია? გზაზე ვინ შეგხვდა, უსულო, ვინ შევიმოკლა სავალი, ვინ გაიმეტა ხატყვივდ ვაჟკაცის გული - ალალი? დედას რა ვუთხრათ,

შვილმოკლულს, აქამდეც ცრემლით იარა, ან ცოლს, ან ობოლ პატარებს, რით გაუნყვლით იარა? ტირის და მოთქვამს ქვეყანა, ყველგან გლოვა და ზარია, ცოფვიანს ბრალს ვერ მოვკითხავთ, თვისი ხელითვე მეკვარია...

შენ, შენი კარგი შვილობით, სამშობლოს მსხენლად ებარე, და ბევრჯერ სხვათა სიცოცხლეს, სიცოცხლით გადაუვარე! მომხისთვის მუდამ სხნა იყავ, თავის გაწირვა იცოდი და დიდი გულის პატრონი ომშიც გულადად იბრძოდი! შენი საგმირო ამბები, ცხრა მთა-ზღვას გადაივლიან და გმირი მამის შვილები, წელგამართულნი ივლიან... ზეცამდე მწვინდად იარე, მეტს ნულარ დაისარჯები, გმირი იყავი, გმირი ხარ და მუდამ გმირად დარჩები!

მარინა შანიძე

ილო – ილუშა ქვლივიძე

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით, ყოველდღიური საქმიანობით ბიოგრაფიაში სხვათაგან განსხვავებულ შტრიხებს ტოვებენ... რა ხშირად ვამბობთ, იყო, იცხოვრა, წავიდა, მაგრამ გააჩნია, როგორ იცხოვრა, ამქვეყნად როგორი ნაფხურები დატოვა... ღირს კი, თავი წარმოაჩინოს მის შთამომავლად, მისი გვარის გამგრძელებლად, მისი საქმიების ბოლომდე მიმყვანად?!

აი, მე კი შეამაყება, რომ ჩემი შვილები იმ გვარის გამგრძელებლები არიან, ვისაც მათი პაპა-ილო (ილუშა) ქვლივიძე ამშვენებდა, ვისი სახელიც ქართველ ვაჟკაცთა კოპორტაში მოისხენიებოდა, ვისი სახელის სხენებაც დავით გარეჯისკენ ბოროტად მომხიარლათა ვითომდა ვაჟკაცურ სულებს თავზარს სცემდა, თავზარს უბნებდა და ყურში ჩაწყვიროდა: - ეს ჩემი წინაპრების სისხლითაა გაპოხიერებული, ეს ჩემი შვილებისა და შვილიშვილების, მათი მეგობრების საუფლოა, საქართველოს ბრწყინვალე მომავლისა...

მადლობა ამ ადამიანად ყოფნის, კაცად დარჩენისთვის, ასეთი სახელის დატოვებისთვის, გაცემული სიკეთის, სიყვარულის ნერვების დატოვებისთვის ცხოვრების ხნულში... ეს ერთეულთა ხვედრია... შენს მიერ დატოვებულ კერაზე ანთია ცეცხლი, ფუძეს შენს მიერ დატოვილი კეთილი ანგელოზი ადგას მცველად, ხალხის ღოცვა დაჰყვება შენს მონაგარს!

როცა ჩვენი ოჯახის დედაბოდი ჩვენთან იყო, არასოდეს მივიჭრია იმაზე, რომ ოდესმე დაგეტოვებდა... რატომ მგონა ასე, არ ვიცოდა... ალბათ იმიტომ, რომ ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო და ბევრს ფიქრობდა, თავისი წასვლით როგორ დაგეტოვებდა გულს. დადიოდა მძიმე ნაბიჯებით, იხსენებდა მეგობრებს, კარგ ქართველებს, ვისთანაც სიცოცხლის ყველაზე ღამაზე წლები გაეტარებინა ღამაზად და ჩვენც როგორ გვიხაროდა ოჯახის წევრებს, რამდენი მეგობარი ჰყავდა, როგორ დადიოდა მათთან ერთად და თესდა სიყვარულის და სიკეთის თესვს... ახლა ის ჩვენს შორის აღარაა, მაგრამ ის სიკეთის ამბები ვერ დავიწყებთ ხალხს და როგორ მიხარია, ჩემი თითოეული ნაცნობი სიყვარულით რომ იხსენებს ჩემს მამამთილს, დიას, ჩემს მამამთილს-ილო-ილუშა ქვლივიძეს და როგორ მიხარია, მისი შვილიშვილებიც რომ იხსენებენ პაპის კარგი ადამიანობის ამბებს...

ნათელში იყოს მისი სული, თავისი კაცური სახელი რომ დაგვიტოვა საეიზიტო ბარათად!

მადლობა! მწვინდად იძინე! შენს სახელს მცველებად უღვანან შენი ნაფერები შვილიშვილები.

პტივისცემით: პირო ქურხული

რედაქტორი: თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601 საიდ-
ენბ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com